კეთილი ფონიტო და ნემსინოე

ვინ ხედავს ფონიტოს?

იყო ერთი კეთილი არსება, საბავშვო საავადმყოფოს უცნაური ბინადარი, სახელად, ფონიტო. ასე დაარქვა მან, ვინც ძველი ფონენდოსკოპების ფერად-ფერადი მილებისგან ააწყო.

როგორი იყო მილისკაცი?

რბილი, გაბერილი და კეთილი. გულზე ფერადი ფონენდოსკოპი ეკიდა. შუბლზე მანათობელი პატარა ნათურა ეკეთა. ყელზე თეთრი ბინტის გრძელი კაშნე ეხვია. სანათურიც ჯადოსნური იყო! ბავშვის სხეულზე ლამაზ-ლამაზ ნახატებს ანათებდა! ნახატები მოძრაობდნენ. თუ ციყვი დაიხატებოდა, ბავშვის სხეულიდან ისკუპებდა და იქვე, ოთახში, მაღალ კარადაზე შეხტებოდა. თუ ზღარბუნა დაიხატებოდა, ისიც სადღაც ტახტის ქვეშ შეცუნცულდებოდა. ხან პონები, ხან ლეკვები, ხან დათვის ბელები და ნუკრები ჩნდებოდნენ... ბავშვები ვერ მიმხვდარიყვნენ, ექიმთან მოსულებს ზღაპრულ მულტფილმში როგორღა ამოეყოთ თავები?! რა იცოდნენ პატარებმა, წინ რამდენ სიურპრიზი ელოდათ?! ჯერ ხომ კარგად არც ფონიტოს იცნობდნენ და არც ლუბლიანას ქუჩის სხვა უცნაურ ბინადრებს?!

ვინ იყო ის კაცი, ვინც სამედიცინო ნივთებისგან უცნაურ სათამაშოებს უკეთებდა ბავშვებს? იქნებ ჯადოქარი?! წამლების ბოთლებისგან, გადასხმის პეპელასგან, შპრიცისგან, ყელის გასასინჯი ჩხირებისგან, პირბადეებისა თუ ბამბისგან რაღას აღარ ქმნიდა. ეს ადამიანი ჩხირკედელა და ფანტაზიორი ექიმი იყო, ნამდვილი გამომგონებელი! სულ ამას გაიძახოდა, რომ ბავშვებს სათამაშოები წამალივით კურნავსო! სათამაშოები კეთილი ჯადოქრებიაო!

მისი ნახელავიდან ყველაზე ჭკვიანი და საყვარელი სათამაშო, ფონიტო, რობოტსაც ჰგავდა. ცოცხალ, მოლაპარაკე, ჯადოსნურ არსებას, რომელსაც ბავშვები საავადმყოფოში მისვლისთანავე ხედავდნენ.

მშობლებისა და ექიმებისთვის რომ გეკითხათ, შენობაში არავითარი მოლაპარაკე მილისკაცები არ იმყოფებდნენ. დიდებს ხომ თვალით არასდროს ენახათ იგი? ! „იყო და არა იყოო“ - სწორედ ფონიტოზე გახლდათ ზედგამოჭრილი ნათქვამი. ბავშვებისთვის „იყო“, დიდებისთვის კი - „არა იყო“! ჯადოქრულ არსებებს ხომ ასეთი ოინები ემარჯვებათ!

არადა, რამდენი ხანია აქ, კლინიკაში, ცხოვრობდა კეთილი ფონიტო, პატარების ნამდვილი მეგობარი! ვინც მას აქ ერთხელ მაინც გაიცნობდა, სახლში მიბრუნებული ზოგჯერ ცუდადყოფნასაც იბრალებდა, რომ ისევ ფონიტოსთან მოეყვანათ მშობლებს. იცით, როგორ ენატრებოდათ უხილავი მეგობარი მილისკაცა?!

ერთმა გოგონამ, სახელად მარიკომ, თავისი საყვარელი ფუმფულა პლედი, რომელსაც სულ თან დაატარებდა, სადღაც გააქრო, სახლში რომ არ წაეყვანათ. რამდენი ეძებეს... მარიკო ხომ ამ პლედის გარეშე ვერ იძინებდა. სახელიც კი დაარქვა პლედს და „ნანუნას“ ეძახდა. „ნანუნას“ ძებნაში მთელი კლინიკა ფეხზე დადგა, მაგრამ რას იპოვიდნენ. მშობლები ძალიან ანერვიულდნენ, ბავშვს ვერ დავაძინებთო, როგორმე იქნებ ვიპოვოთო. არადა, როგორ იპოვიდნენ, ეს პლედი ხომ ფონიტოს აჩუქა მარიკომ?!
- რამდენიც უნდათ, იმდენი ეძებონ! არ მინდა აქედან წასვლა, შენთან მინდა, - ბუზღუნებდა მარიკო.

ფონიტომ ძლივს დაარწმუნა გოგონა, რომ ასე მოქცევა არ შეიძლებოდა და რომ მშობლები ცოდოები იყვნენ. ფონიტო დაჰპირდა, სახლშიც გესტუმრებიო! მხოლოდ ამის შემდეგ გაჰყვა მარიკო მშობლებს შინ. თანაც უპლედოდ!

პატარა ბიჭუნა ნიკოლიკომ კი, ფეხსაცმელი ჩაყარა ურნაში, შინ რომ არ წაეყვანათ. მიხვდით, რატომ? დიახ! გამოჯანმრთელებულებს და შინ გაწერილებს, ფონიტო არ ეთმობოდათ. ათას რამეს იმიზეზებდნენ ბავშვები, რომ ფონიტოსთან დარჩენილიყვნენ. ალბათ, ფიქრობდნენ, სახლში ძალიან ვიტირებთ და ისევ აქ წამოგვიყვანენ საყვარელი პლედის მოსაძებნადო. თუნდაც, ფეხსაცმლისო...

ძვირფასი რამაა მეგობრობა! თუ რამე გტკივა, მაშინ ხომ წამალივით ძვირფასიც! მეგობართან განშორება კი რომელ ტკივილს შეედრება?!

ფონიტოსაც ძალიან უყვარდა ბავშვები. ეხმარებოდა, ამხნევებდა, ამხიარულებდა მათ. დახმარება კი ყველა ბავშვს სჭირდებოდა:

ზოგს წამლის ჩაყლაპვა არ უნდოდა;
ზოგს სისხლის აღებისა ეშინოდა;
ზოგი გადასხმის მილს არ იჩერებდა ხელზე;
ზოგიც წვნიანს არ მიირთმევდა.

მართალია, ფონიტოს ჯადოსნური ჯოხი არ ჰქონდა, მაგრამ მის გვერდით ყველა ბავშვი თავს კარგად გრძნობდა. ყველაფერი ადვილად და უმტკივნეულოდ გამოსდიოდათ.
იცით, როგორ უყვარდა ბავშვები მილისკაცას? ძალიან, ძალიან და კიდევ ხუთჯერ ძალიან! არა, ათჯერ ძალიან!

როცა ბავშვი პირველად შემოაღებდა ექიმის მისაღებს, ფონიტოს ღიმილი მზესავით აშუქებდა და ათბობდა მას.

ზოგ ბავშვს ჯიბეში უჩუმრად კანფეტებს უდებდა, ზოგს - გემრიელ კევს, ზოგსაც - ბანანს. თითქოს ზეპირად იცოდა, ვის რა უყვარდა. თან სასაცილოდ მღეროდა, ხმები სხვადასხვა ზომის მილებიდან სხვადასხვანაირად ამოსდიოდა. ამიტომაც ხან წვრილი ხმა ჰქონდა, ხან ბოხი. გეგონებოდათ გუნდი მღერისო. ხან ლექსებსა და გამოცანებს უმღეროდა ბავშვებს. რა თქმა უნდა, სასაცილო და მხიარულ ლექსებს!

აბა, გამოიცანი,
ბუს ვგავარ თუ პომიდორს?
არავისაც არ ვგავარ,
მე გახლავართ ფონიტო!
ვარ ძალიან კეთილი,
ვერა მხედავს ექიმი!

-ფ ო ნ ი ტ ო, ფ ო ნ ი ტ ო! -იმეორებდნენ ბავშვები და მხიარულ ლექსებზე იცინოდნენ. მილისკაცას უხაროდა და ლექსს ლექსზე აცხობდა:

გამოვიცნობ, რა გტკივა,
მუცელი თუ ცხვირი?
ალბათ, კევი არ მოგცეს
და ამიტომ ტირი.

ზოგს კი ასე წაუმღერებდა:

-ერთი, ორი, სამი, ცხრა!
მოდი, ერთად ავიცრათ!

რაღა თქმა უნდა, არც ეს მხიარული ლექსები ესმოდათ ექიმებს. ბავშვებს კი ისე სიამოვნებდათ ფონიტოს მოსმენა, ტკივილიც ავიწყდებოდათ და წუხილიც.
-რაო, ჩემო პატარავ, აბა, მაჩვენე სად გტკივა? - იტყოდა ფონიტო, -გინდა, ბოროტ ჯადოქრებს ერთად შევებრძოლოთ? აი, რითი, ნახე! - აიღებდა ფონენდოსკოპს და ბავშვებს ყურზე მოარგებდა, იქიდან კი უცნაურ ხმები ისმოდა:

-დუგ-დუგ-დუგ- დუგ!
-ბახ-ბუხ-ბახ-ბუხ! -თითქოს უხილავი არსებებს ბრძოლა უკვე დაეწყოთ.

-აბა, ტკივილო, სად ხარ? გგონია, ვერ მოგაგნებთ? აი, სად ყოფილა, აბა, ყელშიც ჩავიხედოთ, აქ ხომ არ შეძვრა? დაგინახეთ! დაგინახეთ! ვერ დაგვემალები, ვერა! ყველგან გიპოვით: ყურები, თვალები, მუცელი, ვერსად გაგვექცევით! - ასე ლაპარაკობდა , მერე ჯიბიდან ნახატებიან, ფერად სალბუნს ამოიღებდა, ხელზე დააკრავდა პატრა პაციენტს და ეტყოდა:
-გეკეთოს! ეს ჩემი დამხმარეა, ტკივილებს მისი ეშინიათ, - სანამ ბავშვი სალბუნს ათვალიერებდა, ფონიტო ხმამაღლა შესძახებდა:
-ყველაფერი კარგად იქნება! ყვე-ლა-ფე-რი! ხომ მეთანხმები, ნოე? - ისე მონდომებით გასძახებდა ვიღაცას, მილიდან გამოსული ჰაერი ბინტის კაშნეს დროშასავით აუფრიალებდა.

ნემსინოე ბუზღუნებს

- ნოე, სად ხარ, ხმა გაგვეცი! - გაიმეორებდა ფონიტო, თუ არავინ გამოეხმაურებოდა.
ბავშვებმა არ იცოდნენ, ვის უხმობდა მილისკაცა. ნოე - მისი მეგობარი ნემსი გახლდათ.

ნემსი სახელად ნოე!
გამხდარზეც გამხდარი!
წვრილზეც წვრლი!
ჩხვლეტიაზეც ჩხვლეტია!

მასაც ძალიან უყვარდა ბავშვების გამხიარულება. ხან ექიმის ხალათის ჯიბიდან ამოჰყოფდა თავს, ხან მაგიდის უჯრიდან, ხანაც კარადიდან. ბამბის ჩაჩიც ეხურა, უცებ დაბზრიალდებოდა და სიმღერას შემოსძახებდა:

-გამარჯობა, პატარავ,
ნემსინოე აქა ვარ!
ვკურნავ ყველა ტკივილს,
ნუ დაიწყებ ტირილს!
ვარ ფონიტოს დამხმარე,
ვიჩხვლიტები მალ-მალე!
არაფერს არ გატკენ,
თუ მაჩუქებ კანფეტს.

-უკაცრავად, უკაცრავად! ცოტა შემეშალა ლექსი, უნდა მეთქვა: „არც არაფერს გატკენ და გაჩუქებ კანფეტს“, ხომ ასე სჯობს? - იტყოდა და ბამბის ჩაჩს ჩამოიფხატავდა. ბავშვები კი ამ დროს ისე იცინოდნენ, რომ აშკარად ლექსის ეს დასასრული უფრო მოსწონდათ. ზოგი კი ხმამაღლა

წამოიძახებდა: „მე მაჩუქე, მე! ბევრი, ბევრი კანფეტი“. ამ დროს მშობელი პატარას სურვილს პასუხობდა:
- „კი, კი გიყიდი, აუცილებლად გიყიდი, შვილო“, - რადგან ეგონა, შვილი მას სთხოვდა ტკბილეულს.

სიმღერა მშვენიერი გამოსდიოდა, მაგრამ ბავშვებს ნემსის მაინც ეშინოდათ, თუნდაც მომღერალი ნემსი ყოფილიყო. დაძაბულები უყურებდნენ და მისი მოახლოებისა ეშინოდათ. ამას ნემსინოეც მშვენივრად ხვდებოდა და ხშირად ფონიტოსთან წუწუნებდა:

-გული მტკივა, ჩემო ფონიტო! არავის ვუყვარვარ, ახლოს არ მიკარებენ. ბავშვები დამინახავენ თუ არა, ტირილს იწყებენ. ჰგონიათ, მწარედ ვუჩხვლეტ და ვატკენ. მე კი მათთან თამაში მინდა, თან მინდა დავეხმარო და მალე გამოვაკეთო, მათ კი მგონი მონსტრი ვგონივარ, საშინელზეც საშინელი!
- ვის უნახავს ეგეთი გალეული მონსტრი? სულ მეშინია, სადმე არ დაიკარგო, ისეთი წვრილა ხარ, - გაიცინებდა ფონიტო.
-აბა, რატომ გაჰყვირიან ჩემი დანახვისთანავე „ვაი-ვაის“, „არ მინდას“, „მეტკინას“, „მიშველედედას“? მინდა ავუხსნა, რომ ნემსინოე მქვია და თუ უნდათ, ნემსინოც დამიძახონ, განა მეწყინება?! შენთვისაც რომ მოფერებით ფონტო დაეძახათ, ხომ არ გაბრაზდებოდი?
-არა, მე არ ვიცი, რაა ეგ გაბრაზება თუ გამობრაზება თუ ბრუზებ-ბრაზები!
-რამდენჯერ ვუთხარი, მეც თქვენსავით მიყვარს ბატუტზე ხტუნაობა-მეთქი. ვითომ-ვითომ ბატუტი ხართ და მე კი ვითომ-ვითომ ბატუტზე მოხტუნავე, მაგრამ არავინ მიჯერებს, ყველას ეშინია! და სანამ მივუახლოვდები, მანამდე ტირიან. ჰოდა, წავალ აქედან და გადავიკარგები!
-რას ამბობ, ნემსინოე, შენ რომ წახვიდე, ბავშვებს რა ეშველებათ? როგორ ვუმკურნალებთ? მხოლოდ წამლის ჩაყლაპვა არ ეყოფათ. ამას უშენოდ ვერ გავაკეთებთ! ძალიან სჭირდები პატარებს. როგორმე უნდა დავაძლევინოთ ეგ შიში. ეჭვიც არ მეპარება, რომ შენ მათი საუკეთესო მეგობარი ხარ!

ნემსინოეს შემხედვარე ბავშვები ტირილს ზოგჯერ მართლა წყვეტდნენ! როდის? როცა ნემსინოე ცდილობდა, ბავშვები გაერთო, ებზრიალა და თან სასაცილო ლექსები ემღერა:

„მე არ ვარ სპილო დიდი და მსხვილი,
მე არ ვარ ტახტის ბალიში რბილი,
მე არ ვარ ტორტი, ფუმფულა ტკბილი,
ნემსინოე ვარ, ყველაზე წვრილი.
ძაااااااალიან წვრილი
ძალიან წვრილიიიიიიიიი! - და ხმას ისე დაიწვრილებდა, მოდი და ნუ გამხიარულდებოდი?!

ვერც ნემსინოეს ხედავდნენ მშობლები და ვერც ფონიტოს, ამიტომ ისინი თავისუფლად თამაშობდნენ ბავშვებთან. ელაპარაკებოდნენ, ეხუმრებოდნენ და საიდუმლოებებსაც კი უზიარებდნენ ერთმანეთს.
რომელი მშობელი დაიჯერებდა, რომც ეთქვა ბავშვს, ნემსს ველაპარაკებიო?! ან, ნემსს ვუსმენ, მხიარულ ლექსებს როგორ ამბობსო?! ან, ფონენდოსკოპს ველაპარაკებით და ძალიან ხუმარა ვინმეაო?!

საავადმყოფოს ახალი სახელი დაარქვეს

- მე ყველაზე კეთილი ფონიტო ვარ მსოფლიოში! ეს - ყველაზე კარგი ნემსინოე! შენ კი ყველაზე კარგი ბავშვი! სულაც არ გავხარ შეშინებულ სტაფილოს! არც შეშინებულ ნაყინს! იცი, როგორია შეშინებული ნაყინი? არა? არც მე ვიცი! - ეტყოდა ფონიტო რომელიმე ბავშვს და გაიცინებდა.
ამ დროს მილაკები ჰაერით ევსებოდა და იბერებოდა.

ნემსინოე სიცილით კვდებოდა.
- მიდი ფონიტო, კიდევ გაიცინე, კიდევ! სიცილისას რა ფუმფულა ხდები!
გაკვირვებული ბავშვები ხელით სინჯავდნენ ფონიტოს, ასე უცებ რამ გაასუქაო?!
ნემსინოე ჯერ იცინოდა, მერე კი ამბობდა:
- რატომ მე ვერ ვსუქდები, რატომ მე ვერ ვიბერები ასე? მეც მინდა ვიყო ფუმფულა და ბავშვებს ჩემი არ ეშინოდეთ?!
-რას ამბობ, ნემსინოე, ასეთი წვრილი ხარ და ახლოს არ გიკარებენ და ჩემსავით დიდი და გაბერილი ნემსი რომ იყო, ვინღა გაგიჩერდება?! მეც კი შემეშინდებოდა შენი!
- ოხ, რა იქნებოდა, ისეთი თვგადასვალი გადამხდენოდა, ყველას ენახა რა გაბედული და მამაცი ვარ! ბავშვებიც შემიყვარებდნენ! მაგრამ სად, აბა, აქ რა თავგადასავალი უნდა გადამხდეს?! აქ ხომ არც მთები, ციხე-სიმაგრეები, არც უღრანი ტყეები და არც მფრინავი დინოზავრები ჩანან... მხოლოდ დერეფნები, პალატები, კიბეები და ლიფტებია... - იტყოდა დაღონებული ნემსინოე.
მგონი მიხვდით, რომ ნემსინოე ცოტა მტირალაც და ცოტა ბუზღუნაც გახლდათ. სამაგიეროდ ბამბიდან უმშვენიერესი სათამაშოების გაკეთება ემარჯვებოდა.

აიღებდა პატარა ბამბის ბურთულას და ჩხვლეტას დაუწყებდა. ცოტა ხანში ამ ბურთულასგან საყვარელ ზღარბს ან ბატკანს გააკეთებდა. თან მეგობარს ელაპარაკებოდა:
-ფონიტო, როგორ მიხარია, როცა ბავშვებს სათამაშოებს ვუკეთებ! იცი, კიდევ რა მიხარია? როცა იცინიან! ცრემლები რომ არ უნდა ვწმინდოთ, არც სრუტუნა ცხვირი, რა სჯობს ამას!
მშობლებს უკვირდათ, საიდან ჩნდებოდა პატარების ხელში ასეთი ლამაზი პაწია სათამაშოები. ეს ფონიტოს, ნემსინოეს და ბავშვების საიდუმლო იყო.

ფონიტო მხოლოდ ბავშვებზე როდი ზრუნავდა?! ძალიან უნდოდა, რომ არც მშობლები ყოფილიყვნენ მოწყენილები, შიშიც არ ჰქონოდათ თვალებში. მან კარგად იცოდა, როცა ბავშვებს რამე ასტკივდებოდათ, ვირუსები და ინფექციები შემოუტევდნენ, მშობლებს ისინი აქ, ექიმებთან მოჰყავდათ. ამ შენობას არც ისე სასიამოვნო, მგონი ცოტა საშიში სიტყვაც - „საავადმყოფო“ ერქვა. ყველას ეგონა, რომ შიგ ბინადრობდნენ მონსტრები, სახელად „მწარე წამალა“, საშინელი დიდი ნემსები, ყელის გასასინჯი ჩხირები, სისხლის ასაღები მწარე ჩხვლეტიები. ბავშვებს სულაც არ ახარებდა მათთან შეხვედრა. ყველაზე მეტად კი ნემსის გაკეთება აშინებდათ... რა იცოდნენ, რომ აქ საშიში არც არაფერი იყო?! კეთილი ფონიტო და ნემსინოეც აქ დახვდებოდნენ?!

და აი, ერთხელ მილისკაცამ მშვენიერი რამ მოიფიქრა. მოიტანა გრძელი კიბე, საღებავები, ფუნჯები, აძვრა კიბეზე, აიყვანა ნემსინოეც, და საავადმყოფოს აბრა ჯერ მთლიანად გადაღება, მერე კი ლამაზი ასოებით დააწერა „საკარგადმყოფო“.

ნემსინოეც ეცადა, თავისი წვრილი წვერით ასოები ლამაზად გამოეყვანა.
ფონიტომ აბრას მიახატა ყვავილები, პეპლები, ჩიტუნები, ციყვები, ზღარბები, ბაჭიები... ისე გაერთნენ, ლამის შენობის კედლებიც მოხატეს. ბოლოს, კმაყოფილები და საღებავებში ამოთხვრილები ჩამოფოფხდნენ მაღალი კიბიდან და სიამაყით შეხედეს ახალ აბრას!
„ საკარგადმყოფო“ - წარმოთქვა რიხით.
- რა ლამაზად წერია, ყოჩაღ ფონიტო - ჩემო თავო! -შესძახა, - ესეც ასე!
-ნემსინოე, უშენოდ ამას ვერც გავაკეთებდი! შენც ყოჩაღ, მეგობარო! როგორი კარგი ხატვა გცოდნია!

მეორე დღიდან ყველა გაკვირვებულ შესცქეროდა ახალ წარწერას ქალაქის საბავშვო კლინიკის აბრაზე. ლუბლიანას ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელს სახეზე ღიმილი ეფინებოდა.

ქალაქის მერიც კი მობრძანდა და თავის თვალით ნახა, რა მშვენიერი ახალი სახელწოდება შეურჩიეს ბავშვთა საავადმყოფოს. თუმცა ვერავინ გაიგო, ვინ მოიფიქრა და გააკეთა ეს? ყველას მოსწონდა ახლებური დასახელება. ჟურნალისტებიც მოდიოდნენ და ტელევიზიებით აშუქებდნენ სიახლეს. ვინ აღარ გამოკითხეს, მაგრამ ვერაფერი შეიტყვეს. გულში კი ყველა იმას ფიქრობდა, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრეთ ეს მშვენიერი სიტყვაო. ცოტა ხანში სხვა ქვეყნებიდანაც მიიღეს წერილები, თუ შეიძლება, თქვენი მოფიქრებული დასახელება ჩვენც დავარქვათ საბავშვო საავადმყოფოებსო და წერილებთან ერთად, იქ მყოფ ბავშვებს, საოცარ წამლებსა და სათამაშოებს უგზავნიდნენ საჩუქრად.

რა თქმა უნდა, ფონიტო, ნემსინოე და ბავშვები საიდუმლოს არ ამხელდნენ.

საკარგადმყოფო ყურადღების ცენტრში მოექცა. ბავშვებთან სტუმრად დაიწყეს სიარული ცირკის ჯამბაზებმა, მომღერლებმა, საბავშვო მწერლებმა. ყოველი დღე სასიამოვნო სიახლეს ჩუქნიდა პატარებს. სევდიანი თვალებიც არავის ჰქონდა, არც ბავშვს და არც მშობელს! ყველამ ირწმუნა, რომ აქ მოსული ბავშვი აუცილებლად კარგად გახდებოდა. ფონიტო და ნემსინოეც ბედნიერები იყვნენ.

საიდუმლო გამჟღავნდა

ერთხელაც, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, „საკარგადმყოფოში“ დღესასწაულის გამართვა გადაწყდა.
ამ დღეს ბავშვებს დაურიგდებოდა საღებავები, ფუნჯები, ფურცლები, ბავშვები კი დახატავდნენ აქ გატარებულ დღეებს, აქაურ მეგობრებს. ნახატებს კი ფოიეში გამოფენდნენ. უფროსები ამ ნახატებს შეიძენდნენ და შეგროვებული ფულით ბავშვები მარტოხელა მოხუცებს დაეხმარებოდნენ. მათ, ვინც ადრე აქ მუშაობდა, ახლა კი შინ იყო ხანდაზმულობის გამო.
ამ ამბავმა ყველა გაახარა. ბავშვების სიხარული ფონიტოს და ნემსინოესაც გადაედოთ.
მალე დადგა ეს დღეც! ეზო სავსე იყო ბავშვებით, მშობლებით, სტუმრებითა და ჟურნალისტებით! ჟამბაზები ბავშვებს ამხიარულებდნენ, ჟონგლიორები ფერად ბურთებს ჰაერში ათამაშებდნენ, ხოლო გაწვრთნილი თუთიყუშები აქეთ-იქით დაფრინავდნენ და გაიძახოდნენ:
-რა კარგი დღეა!
-რა კარგი დრეა!
-რა კარგი დღეა!

თქვენც მშვენვრად მიხვდებოდით, სად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ფონიტო და ნემსინოე. დიახ! ეზოში, ბავშვებთან, მაგრამ მათ დიდები ვერ ხედავდნენ!
აი, გაისმა მუსიკა! დაიწყო დღესასწაული. სახელდახელოდ გაკეთებულ სცენაზე მომღერლები მხიარულ საბავშვო სიმღერებს ასრულებდნენ.
შენობას ხომ დიდი ბაღი ეკრა. ერთი გენახათ, როგორ აჟღურტულდნენ მუსიკის ხმაზე ამ ბაღში მობინადრე ჩიტებიც. ბავშვები დიდი მონდომებთ შეუდგნენ ხატვას. სიმღერებმა ყველანი კარგ განწყობაზე დააყენა. ხატვის საათიც დამთავრდა. ნახატები ააგროვეს, რომ ფოიეში გამოეფინათ.
მაგრამ ეს რაა?
რატომ ჰგავს ყველა ნახატი ერთმანეთს?
უფროსებს თვალები გაუფარდოვდათ.
-ბავშვებო, ვინ არიან ეს არსებები? ჩვენ ისინი აქ არასდროს გვინახავს? თქვენ ხომ კლინიკაში გატარებული ერთი დღე უნდა დაგეხატათ? ესენი თქვენი მეგობრები არიან? ან ეს ფერადმილებიანი გაბერილი რობოტი ვინაა, ან ეს წვრილზეწვრილი ნემსკაცა?

ალბათ, ადვილად მიხვდით, რომ ბავშვებმა თავისი საყვარელი მეგობრები დახატეს: ფონიტო და ნემსინოე. ზოგმა ბამბის სათამაშოებთან ერთად გამოსახა, ზოგმა - როცა ფონიტო მათ ფონენდოსკოპით „დაგ-დუგებს" ასმენინებდა. ზოგმა ისე, როცა ნემსინოე მხიარულად მღეროდა თავის ლექსებს და ბავშვები კი იცინოდნენ,ზოგმაც მარიკოს ნაჩუქარი ფუმფულა პლედით, ზოგმაც წვირლი ნემსი დიდი ფეხსაცმელებით, ურნაში რომ გადამალა ნიკოლიკომ.

ყველა ნახატი ერთმანეთზე უკეთესი გამოსვლოდათ პატარა მხატვრებს. მაგრამ ყველაზე საინტერესო ერთი ნახატი აღმოჩნდა. მასზე გამოსახული იყო გრძელ კიბეზე აბობღებული ფონიტო და ნემსინოე, აბრაზე ახალ სიტყვას „საკარგადმყოფო"-ს რომ წერდნენ, ქვევით კი ბავშვები იდგნენ და მათ შესცქეროდნენ!

ახლაღა მიხვდნენ უფროსები სიმართლეს. ჟურნალისტები დაბნეული დარბოდნენ და ეძებდნენ ბავშვების უცნაურ მეგობრებს. ძალიან უნდოდათ მათგან ინტერვიუს ჩამორთმევა, მაგრამ როგორ?! ასეთი საგანი მათ უნივერსიტეტში არ ესწავლათ, არც სახელმძღვანელო, სათაურით „რაიუა" ანუ „ როგორ ავიღოთ ინტერვიუ უხილავი არსებისგან?" ენახათ თვალით.

თუ „საკარგადმყოფოს" ჰოლში გამოფენაზე დროულად ვერ მიხვიდოდი, ვეღარაფერს ნახავდი, რადგან ყველა ნახატი უცებ გაიყიდა და ბავშვებმა მარტოხელა მოხუცების დახმარებაც შეძლეს. უფროსებს პატარებიც არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ. სასადილოში უგემრიელესი ტორტი დაიჭრა ბავშვებისთვის! მზარეულს მოესწრო და სასწრაფოდ წაეწერა ტორტზე ახალი სიტყვა „საკარგადმყოფო". მაგრამ სიჩქარეში ასოები გამორჩენოდა. თან ეს სიტყვა პირველად დაწერა. იოლი ხომ არაა ახალი და გრძელი სიტყვების წერა?! ბავშვები სიამოვნებით ილუკმებოდნენ „საკარგადოფოს" და თავს კარგად კი არადა, საუკეთესოდაც კი გრძნობდნენ!
ყველაზე ბედნიერი ვინ იქნებოდა, ამის გამოცნობას რაღა უნდოდა?!
დიახ! კეთილი ფონიტო და ნემსინოე!
-ახლა რა გავაკეთოთ, ფონიტო? მოიფიქრე რამე ამ კარგი ბავშვებისთვის, კიდევ მოიფიქრე, მეგობარო! -გაიძახოდა ბამბის ჩაჩჩამოჩაჩული ნემსინოე და უკან, კუდში დასდევდა მილისკაცას.
ფონიტოც, ბინტის კაშნეს მიაფრიალებდა და ბედნიერი გადი-გამოდიოდა დერეფანში...
ეტყობოდა, რომ საინტერესო გეგმას აწყობდა ახალი თავგადასავლებისთვის.

მარიამ წიკლაური